## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. რუსთავი 23 იანვარი 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) გიორგი ტაბატაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე;
ბ) დავით ჯანიაშვილი – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის თანაშემწე;
გ) გიორგი ზასიძეია - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
დ) კონსტანტინე მეტრეველი - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;
ე) გიორგი არჩვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;
ვ) დავით ფრუიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და მიწის მართვის სამსახურის უფროსი;
ზ) ხათუნა მიმინოშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსი;
თ) ეკა პაპუაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ი) მარინე დუღაშვილი – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლებით)

დღის წესრიგი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ სპორტული დარბაზის აშენებისთვის, საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადების განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა, გიორგი ზასიძეიამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტები.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რის შემდეგადაც აღნიშნეს, რომ ყოველივე შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

დამტკიცდეს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება და თანხართული დოკუმენტები წინამდებარე ოქმზე დართული ფორმით და რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ტაბატაძე

კომისიისწევრები დავით ჯანიაშვილი

გიორგი ბასილაია

კონსტანტინე მეტონიძე

გიორგი არჩვაძე

დავით ფრუიძე

ხათუნა მიშველაძე

ეკა პაპუაშვილი

მარინე დუღაშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კომფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი

2 თებერვალი 2012 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ 2012 წლის 23 იანვარს გამოცხადებული №265 კონკურსის საშუალებით არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კომფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ტაბატაძე

საკონკურსო კომისიის წევრი დავით ჯანიაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი გიორგი ბასილაია

საკონკურსო კომისიის წევრი კონსტანტინე მეტონიძე

საკონკურსო კომისიის წევრი გიორგი არჩვაძე

საკონკურსო კომისიის წევრი დავით ყრუიძე

საკონკურსო კომისიის წევრი ხათუნა მიშველაძე

საკონკურსო კომისიის წევრი ეკა პაპუაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი (კომისიის მდივანი ხმის უფლებით) მარინე დულაშვილი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

ქ. რუსთავი 2 თებერვალი 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) გიორგი ტაბატაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე;

ბ) დავით ჯანიაშვილი – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის თანაშემწე;

გ) გიორგი ბასილაია - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი;

დ) კონსტანტინე მეტონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი:

ე) გიორგი არჩვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი:

ვ) დავით ფრუიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და მიწის მართვის სამსახურის უფროსი;

ზ) ხათუნა მიშველაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსი;

თ) ეკა პაპუაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ი) მარინე დულაშვილი – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლებით)

დღის წესრიგი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 23 იანვარს გამოცხადებული №265 კონკურსის შედეგების განხილვა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა, გიორგი ბასილაიამ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2012 წლის 30 იანვარს და მთავრდებოდა 2012 წლის 31 იანვარს 13:00 სთ. საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა: შპს „ხუროთმოძღვარი"–მ (წინადადება წარმოადგინა 2012 წლის 31 იანვარს. საკონკურსო წინადადების ფასით – 110 000 ლარი), კომპანია „BALAM CONSULTORES SL"–მა (წინადადება წარმოადგინა 2012 წლის 31 იანვარს, საკონკურსო წინადადების ფასით – 108 000 ლარი) და შპს „ან არქიტექტურა"–მ. (წინადადება წარმოადგინა 2012 წლის 31 იანვარს, საკონკურსო წინადადების ფასით – 98 000 ლარი),

კომისიამ განიხილა სამივე კონკუსრანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები. რის შემდგომაც საკონკურსო კომისიამ განახორციელა აღნიშნული კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება. (საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები ოქმს თან ერთვის).

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ ყველაზე მაღალი ჯამური ქულა 83.4 მიენიჭა შპს „ან არქიტექტურა"–ს, შესაბამისად აღნიშნული კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად.

კომისიამ დაადგინა:

1. შპს „ან არქიტექტურა"–ს საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

2.თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №265 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ან არქიტექტურა".

3.არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდოს შპს „ან არქიტექტურა"–სთან

4. შპს „ან არქიტექტურა"–ს ეცნობოს წერილობით და განესაზღვროს 10 სამუშაო დღე ხელშეკრულების დასადებად.

5. საკონკურსო კომისიის კომისიის მდივანს უზრუნველყოს წერილების გაგზავნა კონკურსანტებთან გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არაუგვიანეს 2012 წლის 2 თებერვლისა.

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ტაბატაძე

კომისიისწევრები დავით ჯანიაშვილი

გიორგი ბასილაია

კონსტანტინე მეტონიძე

გიორგი არჩვაძე

დავით ფრუიძე

ხათუნა მიშველაძე

ეკა პაპუაშვილი

მარინე დუღაშვილი

# საქართველო

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე

# GEORGIA

## SELF-GOVERNING RUSTAVI CITY HALL
## DEPUTY MAYOR

№ 11226 02.02 2012წ.

შპს „ან არქიტექტურა"-ს დირექტორს
ბატონ ნოდარ ნოზაძეს

ბატონო ნოდარ,

განცნობებთ, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიამ განიხილა არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №265 კონკურსში თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და დოკუმენტაციის მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდით.

გთხოვთ მობრძანდეთ ხელშეკრულების გასაფორმებლად არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

პატივისცემით:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე;
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ტაბატაძე

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 34) 12 47 74, ფაქსი: (+995 34) 12 47 07
ელ-ფოსტა: info@rustavi.ge, ვებ გვერდი: www.rustavi.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 34) 12 47 74; Fax: (+995 34) 12 47 07
E-mail: info@rustavi.ge, Web: www.rustavi.ge

# საქართველო
## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე
# GEORGIA
## SELF-GOVERNING RUSTAVI CITY HALL
## DEPUTY MAYOR

№ 1/1228 09.02 2012წ.

შპს „ხუროთმოძღვარი"-ს დირექტორს
ბატონ დავით იაშვილს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ გამოცხადებულ არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების №265 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ან არქიტექტურა".

პატივისცემით:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე;
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ტაბატაძე

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 34) 12 47 74; ფაქსი: (+995 34) 12 47 07
ელ-ფოსტა: info@rustavi.ge, ვებ გვერდი: www.rustavi.ge
20 Kostava, Georgie, Rustavi, 3700, Tel: (+995 34) 12 47 74; Fax: (+995 34) 12 47 07
E-mail: info@rustavi.ge, Web: www.rustavi.ge

# საქართველო

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე

# GEORGIA

## SELF-GOVERNING RUSTAVI CITY HALL
## DEPUTY MAYOR


№ 1/1227 07.02 2012წ.

კომპანია „BALAM CONSULTORES SL"–ს
დირექტორს ბატონ ვისენტე დუალდე ვინეტას

ბატონო ვისენტე,

გაცნობებთ, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ გამოცხადებულ არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების №265 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ან არქიტექტურა".

პატივისცემით:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე;
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ტაბატაძე


საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 34) 12 47 74; ფაქსი: (+995 34) 12 47 07
ელ-ფოსტა: info@rustavi.ge, ვებ გვერდი: www.rustavi.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 34) 12 47 74; Fax: (+995 34) 12 47 07
E-mail: info@rustavi.ge, Web: www.rustavi.ge

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,ხუროთმოძღვარი" | | კომპანია ,,BALAM CONSULTORES SL" | | შპს ,,ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 5 | 4 | 6 | 4.8 | 8 | 6.4 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 4 | 0.8 | 5 | 1 | 10 | 2 |
| საერთო ჯამი: | | 4.8 | | 5.8 | | 8.4 | |

გიორგი ტაბატაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს „ხუროთმოძღვარი" | | კომპანია „**BALAM CONSULTORES SL**" | | შპს „ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 6 | 4.8 | 8 | 6.4 | 10 | 8 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 5 | 1 | 6 | 1.2 | 8 | 1.6 |
| საერთო ჯამი: | | 5.8 | | 7.6 | | 9.6 | |

დავით ჯანიაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,ხუროთმოძღვარი" | | კომპანია ,,BALAM CONSULTORES SL" | | შპს ,,ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 6 | 4,8 | 5 | 4 | 9 | 7,2 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 7 | 1,4 | 8 | 1,6 | 10 | 2 |
| საერთო ჯამი: | | 6,2 | | 5,6 | | 9,2 | |

ჩემი შეფასებით გამარჯვებული ხდება
კომპანია შ.პ.ს ,,ან არქიტექტურა"!

გიორგი ბასილაია

საკონკურსო კომისიის წევრი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს „ხუროთმოძღვარი" | | კომპანია „**BALAM CONSULTORES SL**" | | შპს „ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 6 | 4.8 | 5 | 4.0 | 10 | 8 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 7 | 1.4 | 8 | 1.6 | 10 | 2 |
| საერთო ჯამი: | | 6.2 | | 5.6 | | 10 | |

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩემი ქულებით შ.პ.ს. „ან არქიტექტურა"

კონსტანტინე მეტონიძე

საკონკურსო კომისიის წევრი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს „ხუროთმოძღვარი" | | კომპანია „BALAM CONSULTORES SL" | | შპს „ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 7 | 5,6 | 5 | 4,0 | 10 | 8.0 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 6 | 1,2 | 7 | 1,4 | 8 | 1,6 |
| საერთო ჯამი: | | 6,8 | | 5,4 | | 9,6 | |

გიორგი არჩვაძე

საკონკურსო კომისიის წევრი: გამარჯვებულია შ.პ.ს. „ან არქიტექტურა"

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს „ხუროთმოძღვარი" | | კომპანია „BALAM CONSULTORES SL" | | შპს „ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 8 | 6.4 | 9 | 7,2 | 10 | 8,0 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 5 | 1,0 | 6 | 1,2 | 9 | 1,8 |
| საერთო ჯამი: | | 7.4 | | 8.4 | | 9,8 | |

დავით ფრუიძე

საკონკურსო კომისიის წევრი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,ხუროთმოძღვარი" | | კომპანია „BALAM CONSULTORES SL" | | შპს ,,ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 6 | 4,8 | 6 | 4,8 | 9 | 7,2 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 5 | 1 | 5 | 1 | 8 | 1.6 |
| საერთო ჯამი: | | 5,8 | | 5,8 | | 8,8 | |

ხათუნა მიშველაძე

საკონკურსო კომისიის წევრი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს „ხუროთმოძღვარი" | | კომპანია „BALAM CONSULTORES SL" | | შპს „ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 8 | 6,4 | 8 | 6,4 | 10 | 8 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 7 | 1,4 | 8 | 1,6 | 10. | 2 |
| საერთო ჯამი: | | 7.8 | | 8.0 | | 10.0 | |

ეკა პაპუაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,ხუროთმოძღვარი" | | კომპანია ,,**BALAM CONSULTORES SL**" | | შპს „ან არქიტექტურა" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 2 | 1,6 | 2 | 1,6 | 8 | 6,4 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 2 | 0,4 | 3 | 0,6 | 8 | 1,6 |
| საერთო ჯამი: | | 2 | | 2,2 | | 8 | |

მარინე დუღაშვილი

საკონკურსო კომისიის მდივანი (ხმის უფლებით)

ხელშეკრულება №06/190

კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი                                                                 9 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ზარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ან არქიტექტურა" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ალექსანდრე ნოზაძის სახით, №265 კონკურსის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ქალაქ რუსთავში სპორტული დარბაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. (CPV71200000) (შემდგომში - მომსახურება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 98 000 (ოთხმოცდათვრამეტი ათასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.2 ანგარიშსწორების ვადა: 3.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

3.3 დასაშვებია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს „ან არქიტექტურა"-ს წარმომადგენელი.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;
- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

4.4 მომსახურება ჩაითვლება განხორციელებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს №265 კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადების ტექნიკური დავალების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში. ამასთან, მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები, არქიტექტურული დეტალები შეთანხმდეს თვითმმართველობასთან.

5.2 მომსახურების გაწევის ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე

5.3 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. რუსთავი,

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად და ხარისხობრივად ნაკლული მომსახურება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

შემსყიდველი                                        მიმწოდებელი

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში;

ბ) წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია. ამასთან, მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა მიზანშეწონილია არ აღემატებოდეს 8 მბ-ს.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებენ: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური.

7.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს აქტით.

7.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდებულებებზე განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

შემსყიდველი მიმწოდებელი

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავი<br>მის: ქ.რუსთავი, შ.კოსტავას გამზირი №20<br>საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287<br>სს „ლიბერთი ბანკი"<br>ბ/კ № LBRTGE22<br>ა/ა № GE78LB0125148543037000 | შპს „ან არქიტექტურა"<br>მის: ქ. ბორჯომი, დუმბაძის ქ. №5<br>საიდენტიფიკაციო კოდი №226161658<br>სს „თი ბი სი ბანკი"<br>ბ/კ №TBCBGE22<br>ა/ა № GE85TB0100000360500001 |
| თვითმმართველი ქალაქ-რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: | შპს „ან არქიტექტურა" -ს დირექტორის მინდობილი პირი: |

კახა ხარატიშვილი

ალექსანდრე ნოზაძე

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: გიორგი არჩვაძე

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თორმეტი წლის შვიდ თებერვალს, მე ნოტარიუსს, **ნინო გელაშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის ქ. №147-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **შპს "ან არქიტექტურა"-ს** (რეგისტრირებული 25.09.2006, საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) №226161658) დირექტორმა ბატონმა **ივანე ნოზაძე**, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება **ნიუ-იორკში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **ალექსანდრე ნოზაძეს** და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ივანე ნოზაძე** (დაბადებული 04.03.1981 წელს თბილისში, მცხ. ბორჯომი, ნ. დუმბაძის ქ. №5, პირადი №01022004682,) მომმართა. მე შევამოწმე **ივანე ნოზაძის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს "ან არქიტექტურა"** თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან საიდენტიფიკაციო №226161658 რომელიც დღეის მდგომარეობით გადამოწმებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს http://public.reestri gov.ge საიტზე სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **ბორის ლაზარაშვილი** (დაბადებული 26.01.1979 წელს ბორჯომში, მცხ. ბორჯომი, ნ. ფიროსმანის ქ. №9, პირადი №11001001106,) როგორც **ივანე ნოზაძის** ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **ალექსანდრე კიკნაძე** (დაბადებული 09.01.1980 წელს ბორჯომში, მცხ. ბორჯომი, მანჯგალაძის ქ. №6, პირადი №11001003299,) როგორც მოწმე. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, განმარტებების მიცემის შემდეგ, მე პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში, მოწმეთა თანდასწრებით დავადგინე „მომნდობის" ნება, რომლის შესაბამისადაც შევადგინე მინდობილობის შემდეგი ტექსტი:

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თორმეტი წლის შვიდი თებერვალი. **შპს "ან არქიტექტურა"-ს** (რეგისტრირებული 25.09.2006, საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) №226161658) დირექტორმა **ივანე ნოზაძემ** (დაბადებული 04.03.1981 წელს თბილისში, მცხ. ბორჯომი, ნ. დუმბაძის ქ. №5, პირადი №01022004682,) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მომნდობი", **ალექსანდრე ნოზაძეს** (დაბადებული 04.04.1979 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისი, ი. ხურიას ქ. №16, პირადი №11001002586,) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობაში. მათ შორის სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, ნებისმიერი რაიონის მუნიციპალიტეტში, ქალაქის მერიაში და სხვა შესაბამის დაწესებულება-ორგანიზაციებში. „მინდობილი პირი" ასევე უფლებამოსილია მართოს და განკარგოს ,საზოგადოების კუთვნილი საბანკო ანგარიშები სს „თიბისი ბანკში" კერძოდ: შეიტანოს და გამოიტანოს თანხები, მოახდინოს გადარიცხვები და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას
ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად **ალექსანდრე ნოზაძე** უფლებამოსილია მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე „მომნდობს". „მომნდობმა" დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემის მომენტისათვის იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **ბორის ლაზარაშვილს**.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორი ათას თოთხმეტი (2014) წლის შვიდ (07) თებერვლამდე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ (03) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ნინო გელაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილ პირს. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ორმოცდაათი (50) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 32-ე მუხლისა, აგრეთვე ორი (02) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისათვის. თანახმად საქართველოს მთავრობის (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) დადგენილების 39-ე მუხლის 1 პუნქტისა, სულ გადახდილია: ორმოცდათორმეტი (52) ლარი

მომნდობის ნაცვლად მისივე თხოვნით ხელს აწერს ____________________

მოწმე: ____________________

ნოტარიუსი: ____________________ / ნინო გელაშვილი /